საქართველოს მთავრობის

დადგენილება №331

2023 წლის 30 აგვისტო

ქ. თბილისი

„სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში (სსმ, №168, 24/12/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული:

1. №2 დანართის („დებულება სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“):

ა) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ნებართვის გამცემს სანებართვო პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შეუძლია კალენდარული წლის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ.“;

ბ) მე-7 მუხლის მე-16 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„16. რეანიმაციული მომსახურების მიმწოდებელი ყველა დაწესებულება ვალდებულია, 2023 წლის 1 სექტემბრამდე თავისი საქმიანობა შესაბამისობაში მოიყვანოს №2[1] დანართით („სტაციონარული დაწესებულების სანებართვო პირობები“) განსაზღვრულ პირობებთან და ახალი ნებართვის დანართის – „რეანიმაციული მომსახურება“, ინტენსიური მკურნალობის/მოვლის შესაბამისი დონით მოპოვებასთან დაკავშირებით განცხადებით მიმართოს სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს. ამასთან, №2[1] დანართით რეანიმაციული მომსახურების მიმწოდებელთათვის დადგენილი პირობების შესრულება აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს შესაბამისი სანებართვო დანართის მაძიებელთათვის.“.

2. №2[1] დანართის („სტაციონარული დაწესებულების სანებართვო პირობები“) საერთო სანებართვო პირობების 28-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„28	საევაკუაციო გასასვლელი	ნებართვის მაძიებელმა/მფლობელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი **საევაკუაციო გასასვლელების მდგომარეობისა და რაოდენობის დაკმაყოფილების შესახებ.** ასევე ნებართვის მფლობელი ვალდებულია, აღნიშნული დოკუმენტი მოიპოვოს ყოველ 2 წელიწადში ერთხელ, საანგარიშგებო პერიოდის დაწყებამდე და წარუდგინოს ნებართვის გამცემს სანებართვო პირობების დაცვის შესახებ წინა წლის ანგარიშგებასთან ერთად“.

3. №2[1] დანართის („სტაციონარული დაწესებულების სანებართვო პირობები“) დამატებითი სანებართვო პირობების VII ნაწილის („ქირურგიული მომსახურების მიმწოდებელთათვის საერთო სანებართვო პირობები“):

ა) 4.4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.4	საოპერაციო დარბაზი უზრუნველყოფილია სამედიცინო დანიშნულების აირების მიწოდების უსაფრთხო ქსელით	სავალდებულოა სამედიცინო დანიშნულების აირების ცენტრალიზებული სისტემა. ნებართვის მაძიებელმა/მფლობელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი **სამედიცინო აირების წარმომქმნელი დანადგარებისა და რეზერვუარების განთავსების უსაფრთხოების პირობების დაკმაყოფილების** შესახებ. ასევე ნებართვის მფლობელი ვალდებულია, აღნიშნული დოკუმენტი მოიპოვოს ყოველ 2 წელიწადში ერთხელ, საანგარიშგებო პერიოდის დაწყებამდე და წარუდგინოს ნებართვის გამცემს სანებართვო პირობების დაცვის შესახებ წინა წლის ანგარიშგებასთან ერთად“;

ბ) 7.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7.2	ანესთეზიოლოგის ხელმისაწვდომობა ადგილზე 24/7-ზე	ა) სულ მცირე, ანესთეზიოლოგის უწყვეტი ხელმისაწვდომობა ადგილზე, 24/7-ზე; ბ) მხოლოდ გეგმური სამედიცინო სერვისების მიმწოდებელ დაწესებულებებში, საჭიროების დროს, ანესთეზიოლოგის ხელმისაწვდომობა შესაძლებელია, უზრუნველყოფილ იქნეს გამომახებით, სათანადო სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურაში (SOP)/პროტოკოლში მითითებულ ვადაში. აღნიშნული ვადის განსაზღვრა უნდა განხორციელდეს პაციენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, რათა საფრთხე არ შეექმნას მის სიცოცხლეს და/ან ჯანმრთელობას; გ) იმ დაწესებულებებში, რომლებიც განთავსებულია მაღალმთიან/საზღვრისპირა რაიონებში (მუნიციპალიტეტებში) და/ან წარმოადგენენ სერვისის ექსკლუზიურ მიმწოდებელს მუნიციპალიტეტში, ანესთეზიოლოგის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს რეანიმაციული სერვისის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფარგლებში დასაქმებულმა ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგმა“;

გ) მე-8 პუნქტის („საექთნო პერსონალის ხელმისაწვდომობა შემდეგი პრინციპით:“) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ)	**პოსტოპერაციული ინტენსიური თერაპიის მოვლის ექთანზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ადგილზე** **24/7-ზე**	ა) არანაკლებ 1 ექთნისა ყოველ 4 პოსტოპერაციულ საწოლზე; ბ) მხოლოდ გეგმური სამედიცინო სერვისების მიმწოდებელ დაწესებულებებში, საჭიროების დროს, პოსტოპერაციული პალატის ექთნის ხელმისაწვდომობა შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს გამომახებით, სათანადო სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურაში (SOP)/პროტოკოლში მითითებულ ვადაში. აღნიშნული ვადის განსაზღვრა უნდა განხორციელდეს პაციენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, რათა საფრთხე არ შეექმნას მის სიცოცხლეს და/ან ჯანმრთელობას; გ) იმ დაწესებულებებში, რომლებიც განთავსებულია მაღალმთიან/საზღვრისპირა რაიონებში (მუნიციპალიტეტებში) და/ან წარმოადგენენ სერვისის ექსკლუზიურ მიმწოდებელს მუნიციპალიტეტში, ინტენსიური თერაპიის მოვლის ექთნის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს ანესთეზიის ექთანმა“.

4. №2[2] დანართის („სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი სტაციონარის სანებართვო პირობები“) 28-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„28	დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საევაკუაციო გასასვლელი	სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი სერვისის/დეპარტამენტის სხვა სტაციონარულ დაწესებულებაში ინტეგრირების შემთხვევაში შესაძლებელია სტაციონარული დაწესებულების საევაკუაციო გასასვლელით სარგებლობა, თუ შენობა-ნაგებობის დაგეგმარება იძლევა ამის საშუალებას. ნებართვის მაძიებელმა/მფლობელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი **საევაკუაციო გასასვლელების მდგომარეობისა და რაოდენობის დაკმაყოფილების შესახებ.** ასევე ნებართვის მფლობელი ვალდებულია, აღნიშნული დოკუმენტი მოიპოვოს ყოველ 2 წელიწადში ერთხელ, საანგარიშგებო პერიოდის დაწყებამდე და წარუდგინოს ნებართვის გამცემს სანებართვო პირობების დაცვის შესახებ წინა წლის ანგარიშგებასთან ერთად“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**